გაწბილებულნი დავრჩით…

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 6 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (მოსკოვი) 0:0.

თბილისი: გაგოშიძე, მჭედლიშვილი (წერეთელი), ჭელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, გავაშელი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. მაჩაიძე, ესებუა.

მოსკოვი: პილგუი (გონტარი), ბასალაევი, ნიკულინი, ზიკოვი, დოლბონოსოვი, პეტრუშინი, პუდიშევი, კოზლოვი, პავლენკო, მახოვიკოვი, კოჟემიაკინი (იაკუბიკი).

მსაჯი: მ. მკრტჩიანი (ერევანი).

ტაიმებს შორის შესვენებისას სამსაჯო ოთახთან შევხვდით თბილისის “დინამოს” ყოფილ ცენტრალურ თავდამსხმელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ზ. კალოევს, რომელიც დაუფარავი აღშფოთებით, გულისტკივილით ამბობდა:

– როგორ თამაშობენ ჩვენი ფეხბურთელები, რამდენ დროს კარგავენ ბურთის ტარებით შუა მინდორზე! არ არის ტემპი, სისწრაფე, მოძრაობა, მანევრი. შეტევაში ძალიან მცირე ძალები მონაწილეობენ. როცა ბურთი ერთ მოთამაშეს აქვს, სხვები არ იხსნებიან, არ ეძებენ გზებს კარის ასაღებად, აუარებელ გადაცემას კარგავენ, სახიფათო მომენტებს არ ქმნიან…

ვეტერანის სიტყვები სრულ სიმართლეს შეიცავდა. ისეთ მატჩებს, როგორიცაა საკავშირო ჩემპიონატის შეხვედრა თბილისისა და მოსკოვის დინამოელთა შორის, ფეხბურთის მოყვარულნი მოუთმენლად მოელიან, განსაკუთრებით აქვთ გამორჩეული, და საწყენია, ძალიან საწყენია, როცა დიდი, საინტერესო ბრძოლის ნაცვლად მინდორზე ნახავ უფერულ, უღიმღამო ფუსფუსს, უაზრო გადაცემებს, ტექნიკური თუ ტაქტიკური ხასიათის შეცდომებს. საყვედური ეთქმით არა მარტო თბილისელ ფეხბურთელებს, რომლებსაც წლეულს არაფრით გაუხარებიათ თავიანთი გულშემატკივრები, არამედ მოსკოვის “დინამოსაც”, სსრ კავშირის ერთ–ერთ ყველაზე პოპულარულ, ძლიერ გუნდს, თბილისელთა ძველისძველ, ტრადიციულ მეტოქეს, ვისი თამაშითაც არაერთხელ მოვხიბლულვართ უწინ. 90 წუთმა ისე განვლო, დასამახსოვრებელი, საინტერესო მომენტები თითქმის არც ყოფილა. აქა–იქ, შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ გაიელვებდა რაიმე ეპიზოდი, დანარჩენ დროს კი თამაში მიმდინარეობდა მონოტონურად, აუჩქარებლად, ნელი ტემპით, გაურთულებლად, ერთობ მდარე სპორტულ დონეზე.

ვთქვათ, ორივე გუნდს ხელს აძლევდა ფრე და მისგან გამომდინარე თითო ქულა. მაგრამ ყოველგვარი მიზნის მისაღწევად ხომ არსებობს ისეთი საბრძოლო საშუალებანი, რომელთა გამოყენება საჭიროა ოსტატურად, გეგმიანად, სრული მონდომებით და ენერგიულად. ორივე გუნდის ფეხბურთელები კი ამას არ ავლენდნენ და ამიტომ მატჩი დაემსგავსა ჭადრაკში გადადებული პარტიის დამთავრებას, სადაც ფრე გარდუვალია და მოწინააღმდეგეები ვალის მოსახდელად, “ზრდილობისთვის” აკეთებენ სვლებს.

განსაკუთრებით მოსაწყენი იყო პირველი ტაიმი. მასპინძლებს შეტევის ცენტრში ჰყავდათ მ. მაჩაიძე, რომელსაც არავითარი მხარდაჭერა არ ჰქონდა ფლანგებიდან, ვინაიდან გუცაევს არც ერთი გარღვევა არ შეუსრულებია, ესებუა კი მინდვრის შუაგულში იყო დაწეული და სისტემატურად კარგავდა გადაცემებს.

შედარებით უკეთ ითამაშა გუცაევმა მეორე ტაიმის დასაწყისში. თამაში თითქოს გამოცოცხლდა, კარგი რეიდები შეასრულეს მჭედლიშვილმა, გავაშელმა, ებრალიძემ, მაგრამ 15–20 წუთის შემდეგ ტემპი ისევ დაეცა და ორივე მხარემ

ამჯობინა ებრძოლა იმ ანგარიშის შესანარჩუნებლად, რომელიც მატჩის დაწყების წინ იყო აღნიშნული ელექტროტაბლოზე.

საბოლოოდ მეტოქე მხარეები თითო ქულით კმაყოფილნი გაზავდნენ, ჩვენ კი გაწბილებული წამოვედით სტადიონიდან.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 8 ოქტომბერი, 1974 წ.